სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/164

ქ. თბილისი 12 ოქტომბერი 2020 წ.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისა და მისი ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ანზორ აბშილავას მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2020 წლის 7 აგვისტოს საბჭოს სხდომის №10 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 ოქტომბრის № 01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „გეოლოგია“, ხელმძღვანელი – პროფესორი ნოდარ ფოფორაძე;
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 64.

   დადგენილებას თან ერთვის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმებიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დავით გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **იაშა კუტუბიძე**